



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 111

18 მარტი
“ --- ” ----- 2022 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №23, №23ა, №27, №25; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე; ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №29-ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტროკოდები: №01.72.14.014.209; №01.72.14.014.920; №01.72.14.014.957; №01.72.14.014.932; №01.72.14.014.959; №01.72.14.014.086; №01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 09 მარტი №22.283.333 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №23, №23ა, №27, №25; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე; ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №29-ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტროკოდები: №01.72.14.014.209; №01.72.14.014.920; №01.72.14.014.957; №01.72.14.014.932; №01.72.14.014.959; №01.72.14.014.086; №01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.mts.gov.ge რეგისტრირებული №012126410-67 (№012128413-67; №01212923501-67; №01213202849-67; №01213362897-67; №01213404186-67; №0121364883-67; №01220141102-67; №012205079-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 22.283.333
9 / მარტი / 2022 წ.

ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N23, N23ა, N27, N25; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე; ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.209; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.957; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 სექტემბრის N012126410-67 (N012128413-67; N01212923501-67; N01213202849-67; N01213362897-67; N01213404186-67; N0121364883-67; N01220141102-67; N012205079-67) განცხადებით მიმართა კობა გაფრინდაშვილმა (პ/ნ 01022002816) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N23, N23ა, N27, N25; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე; ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.209; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.957; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N23, N23ა, N27, N25; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე; ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.209; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.957; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის კერძო მესაკუთრეების რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია: 6327 კვ.მ; თვითმმართველის ბალანსზე არსებული ტერიტორიის ფართობია: 233 კვ.მ. დაურეგისტრირებელი არეალის ფართობია: 856 კვ.მ, საპროექტო არეალის ფართობი, ჯამში, შეადგენს: 7416 კვ.მ-ს. საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით მდებარეობს ფარნავაზ მეფის გამზირი; აღნიშნულ ტერიტორიაზე განვითარებულია ყველა სახის საინჟინრო ინფრასტრუქტურა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მისედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანება;

„ქალაქ თბილისში, დიდშის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N27, N23ა, N23, N29-ში; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, დიდი დიდოში, ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.957; N01.72.14.014.209; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის



განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N422 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია ტერიტორიის განვითარება ერთ მიწის ნაკვეთად. არსებული მიწის ნაკვეთები კი გადაგეგმარდება ფართის უცვლელად.

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანება;

საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

კ1-0,5

კ2- 4,6 (29 385 კვ.მ)

კ3- 0,3

მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა - 25-30 სართ;

საცხოვრებელი -86%; კომერციული და სხვა ფუნქცია-14%;

N01.72.14.014.512 საკადასტრო ერთეული გადაგეგმარდება საპროექტო ტერიტორიის კონტურზე ფართის უცვლელად, ხოლო საპროექტო მიწის ნაკვეთით ათვისებული არეალი დაიტვირთება საჯარო სერვისტუტით - 406 კვ.მ და მასზე მოეწყობა ტროტუარები და გამწვანება.

ამასთან, პროექტის დამტკიცების ეტაპზე დაზუსტდეს შეზღუდვის არეალში მიწისქვეშა ავტოსადგომების ზუსტი ადგილმდებარეობა და შეთანხმდეს შპს „თელასთან“ ;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 16¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გათვალისწინებულია მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენება, ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დაახლოებით 129,3 კვ.მ).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუწეონ განხორციელებული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 23 თებერვლის N01220543430 წერილის შესაბამისად, სააგენტო აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 2 მარტის N01220613047 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა 01.72.14.014.959, 01.72.14.014.957, 01.72.14.014.932, 01.72.14.014.209, 01.72.14.014.086, 01.72.14.014.920 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 22 ოქტომბრის N61-01212952431 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორია მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში, მიენიჭოს შესაბამისი ზონირება, დაკორექტირდეს ფართის უცვლელად და განვითარდეს წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N23, N23ა, N27, N25; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე; ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარე არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.209; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.957; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012126410-67 (N012128413-67; N01212923501-67; N01213202849-67; N01213362897-67; N01213404186-67; N0121364883-67; N01220141102-67; N012205079-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N23, N23ა, N27, N25; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე; ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარე არსებულ ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.209; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.957; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.512) და მიმდებარე

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნაშატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ-ისა.


4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ამ განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

5. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსთან ამ განკარგულების მე-5 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენა.

6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ზმაღაძეს.

7. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01220312588
თარიღი: 31/01/2022
პინი: 1581

გადამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2022 წლის 14 იანვრის N 01220141102-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.959, 01.72.14.014.957, 01.72.14.014.932, 01.72.14.014.209, 01.72.14.014.086, 01.72.14.014.920) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 19 აგვისტოს N 01212311095-67 განცხადების პასუხად N 0121235152 წერილით.

სამსახური, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის მოთხოვნილი კ2 კოეფიციენტით განაშენიანების შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღებს გენერირებული და მიზიდული ავტომობილების ზეგავლენას, რადგანაც აღნიშნული განაშენიანება აღარ განიხილება ინდივიდუალურ ტრანსპორტზე დამოკიდებულად.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01220613047

თარიღი: 02/03/2022

პინი: 2014

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 19 თებერვლის №012205079-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.959, 01.72.14.014.957, 01.72.14.014.932, 01.72.14.014.209, 01.72.14.014.086, 01.72.14.014.920 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია; არსებული ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **30 ძირი (ს/კ 01.72.14.014.932: №1, №3-№4, №8-№9, №11-№12, №14-№15, №17, №20, №27-№30, №36, №39-№41; ს/კ 01.72.14.014.957: №4, №7-№10; ს/კ 01.72.14.014.959: №2-№5, №7-№8)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. **გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი ნარგავების რაოდენობა არც ერთ საკადასტრო ერთეულზე არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.**

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **7 ძირი ზეხმელი/ხმობადი (ს/კ 01.72.14.014.959: №10; ს/კ 01.72.14.014.959-ის მიმდებარედ: №1-№6)** მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **132 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **132 ძირი (ს/კ 01.72.14.014.932: №5-№7, №10, №13,**

№16, №18-№19, №21-№26, №31-№35, №38, №42-147; ს/კ 01.72.14.014.957: №1-№3, №5-№6; ს/კ 01.72.14.014.959: №6) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 2 ძირი (ს/კ 01.72.14.014.932: №37 კაკალი, D=43 სმ; ს/კ 01.72.14.014.959: №1, კაკალი D=36 სმ) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 3 ძირი ჰიმალაის კედარი, 26 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 2 ძირი პრიალა კვიდო, 3 ძირი სოფორა, 4 ძირი თუთა, 108 ძირი აღმოსავლური ტუია, 2 ძირი კვიპაროზი, 3 ძირი პაულონია, 3 ძირი კაკალი, 1 ძირი ტირიფი, 3 ძირი თეთრი ტირიფი, 2 ძირი თელა, 1 ძირი იფანი, 1 ძირი თხილი, 2 ძირი ბიოტა და საპროექტოდ დასარგავი: 15 ძირი ჭადარი და 20 ძირი ჰიმალაის კედარი; ჯამში - 199 ერთეული) სრულად ითვისებს შემოთავაზებული კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს ($სსზ-2 = 0.3 = 1\ 898.2\ მ^2$; $ტზ-1 = 0.1 = 108.8\ მ^2$; ჯამში - 2 007 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა 01.72.14.014.959, 01.72.14.014.957, 01.72.14.014.932, 01.72.14.014.209, 01.72.14.014.086, 01.72.14.014.920 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



7. სარეკლამო-საქმიანი ბონა 2 (სფ-2);

ა) ბერეკუნდის გამოყენება და განაწილების ძირითადი დავალები საბერეკუნდო.

მედიკამენტოზი: პენიცილინი, დამოკიდებულია სიმძიმეზე, ნაწილობრივ სისხლძარღვოვანი
პარკი;
ჩაღი
სუნთქვა
ბილი
პრობლემა
ქვეშე

- საკონტრეტო დარბაზი;
- უწყვეტად აღწერა სპირტულ სამყაროში დარბაზი;
- საქალაქო პოლიტიკა;

- Խաղաղությունը լինելիքից
- ժողովրդին:
- Խաղաղությունը ճանաչելիք:
- Խաղաղությունը մարտնչելիք:
- Խաղաղությունը մեղքից:
- Խաղաղությունը խելիք:

ზანა;
ქიშკა
ბეჭკობანი;
მწვეთი ჯეშის იმედები
საფეხურებზე მომსახურება იმედები, გარდა სატრამპოლი სახელებსა მომსახურება იმედების;
საფეხი და კეზერბეზობის იმედები
ზანკის ფეხილი, გარეგულიან;
ზანი;
ზანაკის დანქნალები და ორგანოები;
საფეხური და საფეხური ორგანოები;
საბინათელი.


[illegible]

Wahrscheinlichkeit

Copyright © 2010 Pearson Education, Inc. All rights reserved.


[illegible][illegible][illegible][illegible][illegible]

	ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՐԶԻ ԱՌԱՋ ԴԵՔԱՆԱԾԻ
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՐԶԻ ԱՌԱՋ ԴԵՔԱՆԱԾԻ	ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՐԶԻ ԱՌԱՋ ԴԵՔԱՆԱԾԻ

[illegible]

[illegible]

ნახაზის თვანსაწიწათვის ბაზიდან გამოღებული

[illegible]

צורה וסיווג		סיווג	
	הצורה והסיווג		הצורה והסיווג
	הצורה והסיווג		הצורה והסיווג
	הצורה והסיווג		הצורה והסיווג
	הצורה והסיווג		הצורה והסיווג
	הצורה והסיווג		הצורה והסיווג
	הצורה והסיווג		הצורה והסיווג

[illegible]

ԶԻՄՆԱԿԱՆ ԲՈՒՆԱՎԱՅՈՒՆ
 ԶԻՄՆԱԿԱՆ ԵՆԵՐՈՒՄԵՆ
 ԲՈՒՆԱՎԱՅՈՒՆ
 ԶԻՄՆԱԿԱՆ ԲՈՒՆԱՎԱՅՈՒՆ

[illegible]



ბუნებრივი #1			
ბ - 1	0.5		
ბ - 2	4.6		
ბ - 3	0.3		
86/14		სპ.სპ.	

საზღვარი

6,327 M²

ბუნების #1		პროექტის ტერიტორია	
ბ - 1	0.5		
ბ - 2	4.6		
ბ - 3	0.3		
86/14		სპ.სპ.სპ.	

საპროექტო ტერიტორია

ბუნების #1		პროექტის ტერიტორია	
ბ - 1	0.5		
ბ - 2	4.6		
ბ - 3	0.3		
86/14		სპ.სპ.სპ.	

საპროექტო ტერიტორია

[illegible][illegible]


- [illegible]

[illegible][illegible][illegible][illegible][illegible][illegible][illegible][illegible][illegible][illegible]

[illegible][illegible][illegible]

המכללה
המיתמדת
ב/ב : 400275536

საზ. სოციალ. ღირსი



ՀՈԿՈՑՈՒՄ ԵՐԱՅՅՈՒՆ

- [illegible]

ԵՆԵՅՈՒՆ ԵՆԵՇՄՈՇԵՆ

მეცნიერებათა აკადემიის
ბიბლიოთეკის ბინა

[illegible]

ໂຮງຮຽນ

ՍՊԵՇԻԱԼԻՆԵ ԳՍԳԻՇԱԿԻ

ՁԱՆՆԵՐԵՐԻ ՄԱՍԻՆ ԵՄԵՅՈՒՆԻ ԴԻՄԻՏՐԻՍ

anlysa

Հ.ՄԱՌԻՈՐԱՆՈՒ, ԾԱԿՆԱՅՈՒ ԺԱԶՆԻՆ
ԵՄԻՆ.

ԵՐԽՄԱՆ ՀԱՇՎԵՐ
Ե/Բ : 400275536

0153826919	UWALPHAK	a. UZBOMBOZBOZ	673K	CHUMBUK	1-0277555 ADONIS 20100101 427
	UWALPHAK	b. KOBOK			
	UWALPHAK	d. UOZZY			